

კავკასიის ერთიან გეოკულტურულ სივრცედ გააზრება ანტიკურ მწერლობაში

ტერმინი კავკასია, როგორც თანამედროვე შინაარსის მომცველი გეოპოლიტიკური ცნება, XIX ს-დან დამკვიდრდა, თუმცა აღნიშნული სახელწოდება უკვე შორეულ ანტიკურ პერიოდში დასტურდება. თუ სტეფანოს ბიზანტიელის (V ს.) „ეთნიკას“ დავეყრდნობით, „კავკასოსს“ ჯერ კიდევ ჰეკატეოს მილეტოსელის (დაახლ. ძვ. წ. 550-475 წწ.) „დედამინის აღწერა“ იცნობს. ამ არასრულად მოღწეული თხზულების ფრაგმენტებში, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა სწორედ „ეთნიკაშია“ დაცული, ნათქვამია: „დანდარები. ხალხი კავკასოსთან“;¹ „ტიპანისები. ხალხი კავკასოსთან“;² „კოლები. ხალხი კავკასოსთან... კავკასიის მთისწინეთი კოლიკურ მთებად იწოდება“.³ თითოეულ ცნობას ახლავს განმარტება, რომ ამას „[ამბობს] ჰეკატეოსი“.⁴ სამწუხაროდ, ბიზანტიური ეპოქის ავტორის (რომელიც თითქმის თორმეტი საუკუნითაა პირველწყაროს დაცილებული) მოტანილი გამონათქვამის გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია სრულიად სამართლიანი მოსაზრება, რომ ჰეკატეოს მილეტოსელის ხსენებული ნაშრომის შემორჩენილი ფრაგმენტების წყაროთმცოდნეობითი კვლევისას „გასარკვევია, რას ამბობს ჰეკატეოსი და რაა სტეფანე ბიზანტიელისა“.⁵

ყველაზე ადრინდელი წყარო, რომელშიც კავკასია/კავკასოსი პირველად და უეჭველად იხსენიება არის ჰეკატეოსის უმცროსი თანამედროვის, ესქილეს (ძვ. წ. 525/4-456/5 წწ.) „მიჯაჭვული პრომეთესი“. ერთგან (707-735) „ტრაგედიის მამად“ წოდებული ავტორი აღწერს გზას, რომლის გავლის შემდეგ მიადგები კავკასოსს, „მთის [ქედთა] შორის ყველაზე მაღალს“.⁶ მეორეგან (411-424) ჩამოთვლის აზიის მცხოვრებთ და მათ შორის ასახელებს მათ, „ვინც სახლობს მახლობლად კავკასოსისა, მაღალ კლდეებზე [ნაშენ] ქალაქში“.⁷

უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასია/კავკასოსის“ წარმომავლობა და ეტიმოლოგია ან იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა, რომელსაც ეს ცნება

¹ ჰეკატეოს მილეტოსელი, *დედამინის აღწერა*, გვ. 61.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 62.

⁴ იქვე, გვ. 61-62.

⁵ ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*, გვ. 43. შდრ. ლომოური, *ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები*, გვ. 3-35.

⁶ ესქილე, *მიჯაჭვული პრომეთესი*, გვ. 77.

⁷ იქვე.

მოიცავს, უძველესი დროიდან მოკიდებული დღემდე ცხოველ ინტერესს ინვესს. ამიტომაცაა, რომ ხსენებულ საკითხებზე არაერთი საგულისხმო მოსაზრება არსებობს.¹ წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის გარკვევა, თუ როდიდან შეიძინა ამ ტერმინმა ერთი გარკვეული გეოკულტურული სივრცის გაგება და, რამდენადაც შესაძლებელია, მეტნაკლები სიზუსტით მისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენა.

ვიდრე ჩვენთვის საინტერესო პრობლემას განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ანტიკური ცივილიზაციის ხანგრძლივ მონაკვეთში ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და კავკასიის ურთიერთობებში რამდენიმე ეტაპი იკვეთება. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ანტიკურ ავტორთა ცოდნა კავკასიის რეგიონის შესახებ თანდათანობით ღრმავდებოდა. მკვლევართა მართებული დაკვირვებით, თუ კლასიკურამდელი პერიოდის (ბერძნულენოვანი წერილობითი ძეგლების გამოჩენიდან ძვ. წ. VI ს-ის ბოლომდე) წყაროებისათვის დამახასიათებელია რეალობის მითოლოგიური აზროვნებით აღქმა და მათში კავკასია, ძირითადად, პრომეთესა და არგონავტების თქმულებების კონტექსტშია გააზრებული, კლასიკურ ეპოქაში (ძვ. წ. V-IV სს.) წინა პლანზე გამოდის ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული ხედვა. „ამ პერიოდში კავკასია თანდათანობით ლეგენდარულის სფეროდან რეალურში გადადის როგორც ტერმინოლოგიური, ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით და იღებს უფრო კონკრეტულად გამოკვეთილ ხასიათს“.² ზემოთქმული განაპირობა არაერთმა ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიულმა მოვლენამ (დიდი ბერძნული კოლონიზაცია, ბერძენ-სპარსელთა ომები); ხოლო ალექსანდრე მაკედონელის აზიაში ლაშქრობამ, რომის იმპერიის აღმოსავლეთით გაფართოებამ და მითრიდატე VI ევპატორის ომებმა თუ რომაულ-პართიულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში კავკასიისა და აქ მცხოვრები ხალხების შესახებ მრავალმხრივი და ძალზე საინტერესო ინფორმაციის თავმოყრას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული პერიოდის ანტიკურ მწერლობაში დაცული ცნობები კავკასიის ძველი ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად ხშირად წერილობით წყაროთა ერთადერთ ბაზას წარმოადგენს.

მიუზღრუნდეთ ტერმინს „კავკასია/კავკასოს“, ვნახოთ რას აღნიშნავს ის დროის სხვადასხვა მონაკვეთში, როდის შეიძინა ამ სახელწოდებამ რალაც ერთი გარკვეული გეოკულტურული სივრცის მნიშვნელობა

¹ დანვრ. იხ.: ვაშაკიძე, ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა, გვ. 77-90; ვაშაკიძე, კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე, გვ. 41-64 (ლიტ. იხ. იქვე).

² გორდუზიანი, უგულავა, კავკასია/კავკასოსი, გვ. 28.

და, შესაძლებლობის ფარგლებში, შევეცადოთ ამ არეალის გეოგრაფიული საზღვრების მონიშვნას.

ესქილესა და ჰეკატეოს მილეტოსელის ზემოთ მოტანილი ცნობების თანახმად, სრულიად აშკარაა, რომ „კავკასოსი“ აღნიშნავს მთას ან ქედს.

ჰეროდოტოსი (ძვ. წ. V ს.) თავის „ისტორიაში“ არაერთხელ ახსენებს „კავკასია/კავკასოსს“. ერთგან, სადაც ისტორიკოსი სკვითთა ლაშქრობის მარშრუტს აღწერს, ნათქვამია, რომ მათ „ზემოთა გზაზე გადაუხვიეს, რომელიც ბევრად უფრო გრძელია. მარჯვნივ კავკასიონის მთებია აღმართული“ (I, 104).¹ იგივეს იმეორებს ჰეროდოტოსი სხვაგანაც (IV, 12): კიმერიელებს დადევნებული „სკვითებისათვის კავკასოსი მარჯვენა მხარეს იყო“.² ბერძენი ავტორი თავის თხზულებაში (I, 204) აღნიშნავს: „ამ ზღვას, კასპიის ზღვად წოდებულს, დასავლეთის მხრიდან კავკასოსი ესაზღვრება“;³ მანამდე (I, 203) ჰეროდოტოსი გვაუწყებს, რომ „ამ ზღვის (კასპიის – ვ. ვ.) დასავლეთით კავკასოსია გადაჭიმული, რომელიც მთებს შორის ყველაზე უფრო ვრცელია და მაღალი. კავკასიის მთებში ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს“.⁴ იქ, სადაც კოლხების აქემენიანთა იმპერიასთან ურთიერთობებზეა საუბარი (III, 97), ვკითხულობთ: „საჩუქრები კოლხებმაც მოითხოვეს და მათმა მეზობლებმაც კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი სურთ იცოდნენ სპარსელების შესახებ). მათ საჩუქრები დაიწესეს. ყოველ მეხუთე წელს ასი ყრმა და ასი ქალწული უნდა გადაიხადონ“.⁵

ჰეროდოტოსის თხზულებიდან მოტანილი ამონარიდები ნათლად აჩვენებს, რომ ბერძენი ავტორი „კავკასია/კავკასოსს“ ბევრად უფრო მასშტაბური მნიშვნელობით წარმოაჩენს. ჰეკატეოს მილეტოსელისა და ესქილესაგან განსხვავებით, ჰეროდოტოსთან „კავკასოსი“ არ არის ერთი მთა ან ერთი ქედი; ის მთათა მთელი სისტემაა, რომელიც სხვა ამგვარივე მთების ჯაჭვისაგან იმით გამოირჩევა, რომ „ყველაზე უფრო ვრცელია და მაღალი“; რაც მთავარია, კავკასოსის დატოტვილი ქედები გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს, რადგან, ისტორიკოსის თქმით, „კავკასოსის მთებში ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს“.

„კავკასოსი“ იცის არისტოტელემაც (დაახლ. ძვ. წ. 383-322 წწ.). „მეტეოროლოგიაში“ (350 a 18-37) ნათქვამია: „... კავკასიონიდან ბევრი სხვა [მდინარე] მოედინება, გამორჩეული [წყლის] სიმრავლითა და სიდიდით, [მათ შო-

¹ ჰეროდოტოსი, *ისტორია*, გვ. 90.

² იქვე, გვ. 102.

³ იქვე, გვ. 92.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 100.

რის] ფასისიც. კავკასოსი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ყველაზე დიდი მთაა სიდიდით და სიმაღლითაც. სიმაღლის დასტურია ის, რომ კარგად ჩანს ეგრეთ წოდებული სიღრმეებიდანაც ტბაში შემავალთათვისაც. აგრეთვე მისი მწვერვალები მზითაა განათებული ღამის მესამე ნაწილამდე, განთიადამდეც და კვლავ, საღამოს მერეც. სიდიდის [ნიშანია] ის, რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ხალხი სახლობს და სადაც, ამბობენ, რომ დიდი ტბებია, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ყველა ეს ადგილსამყოფელი ჩანს ვიდრე უკანასკნელ მწვერვალამდე“. ¹ არისტოტელე ამავე თხზულებაში (351 a 8-14) ერთხელ კიდევ ახსენებს „კავკასოსს“. მისი თქმით, „... კავკასიონის ქვემოთ არის ტბა, რომელსაც იქაურები ზღვას უწოდებენ“.²

თუ არისტოტელეს ზემოთ მოხმობილი პირველი ცნობით ვიმსჯელებთ, „კავკასია/კავკასოსი“, ისე როგორც ჰეროდოტოსთან, მათაა სისტემაა, ვრცელი და ძალიან მაღალი. მისი სიდიდის დასტურია ისიც, რომ „მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ხალხი (ბევრი ეთნოსი – ვ. ვ.) სახლობს“. მეორე ცნობა კი გვაუწყებს, რომ „კავკასოსის“ მთების ქვემოთ არის ტბა. ამ უკანასკნელში იგულისხმება მეოტისის ტბა. ასე კი ძველი ბერძნები აზოვის ზღვას მოიხსენიებდნენ. ე. ი. არისტოტელეს მიხედვით, „კავკასოსის“ მთები მეოტისის ტბას წარსწვდებოდა. თუ გავიხსენებთ ჰეროდოტოსის მინიშნებას, რომ კავკასოსი კასპიის ზღვიდან დასავლეთით იყო გადაჭიმული და მას არისტოტელეს განხილულ ცნობასთან შევაჯერებთ, ვფიქრობ, უყოყმანოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხსენებულ ავტორთა დროისათვის (ე. ი. ძვ. წ. V-IV სს-ში) „კავკასია/კავკასოსი“ აღნიშნავდა მთიან მასივს კასპიის ზღვიდან შავ და აზოვის ზღვებამდე; ეს იყო ვრცელი მთიანეთი, დატოტვილი ქედებითა და მათი განშტოებებით, სადაც არაერთი ეთნოსი ბინადრობდა.

„კავკასოსი“ იცის თეოკრიტოსმაც (ძვ. წ. IV-III სს.). იგი თავის „იდილიებში“ (VII, თალისია, 77) ახსენებს „უშორეს კავკასოსს“.³ რა თქმა უნდა, ავტორი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს მთას ან ქედს.

გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ ტერმინს ხშირად ვხვდებით აპოლონიოს როდოსელთან (დაახლ. ძვ. წ. 295-215 წწ.). „არგონავტიკაში“ მოხსენიებულია „კავკასიონის ტყიანი მთის კალთები“ (II, 1198-1215); „კავკასიის მთების მაღალი მწვერვალები“ ან „მაღალი კავკასიონი“ (II, 1231.1242-1285); „კავკასიის ფერდობები“ (III, 843-872); „თოვლიანი კავკასიონი“ (III, 1214-1224); „კავკასიონის ზღვა“ (IV, 131-135),⁴ რომელშიც შავი ზღვა იგულისხმე-

¹ არისტოტელე, *არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია*, გვ. 151.

² იქვე, გვ. 152.

³ თეოკრიტოსი, *იდილიები*, გვ. 165.

⁴ აპოლონიოს როდოსელი, *არგონავტიკა*, გვ. 177-180.

ბა. ჩვენი აზრით, „არგონავტიკაში“ დამონმებული „კავკასოსი“ მათა სისტემას აღნიშნავს, რომელიც გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს. ამიტომაცაა, რომ მის მიმდებარედ არსებულ ზღვას ავტორი „კავკასიის ზღვას“ უწოდებს. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს თხზულებაში (III, 196-248) დაცული ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხთა მეფის, აიეტის ვაჟი აფსირტოსი „შვა კავკასიელმა ნიმფამ ასტეროდეიამ“.¹ გამოთქმა „კავკასიელი“ უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ აპოლონიოს როდოსელისათვის „კავკასია/კავკასოსი“ კარგად განსაზღვრული კონკრეტული გეოგრაფიული არეალია, საიდანაც წარმოშობით იყო ასტეროდეია.

საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშვნა იმისა, რომ ძველბერძნულ სამყაროში ცნობილი იყო მეორე, ინდოეთის „კავკასოსი“, ინდოეთის ირანისაგან გამმიჯნავი მათა სისტემა (თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით, ინდი-ქუშანის მთიანეთი). ამის მიზეზს დამაჯერებლად ხსნის სტრაბონი (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24 წწ.). „გეოგრაფიაში“ (XI, 5, 5) ნათქვამია: „შემთხვევები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისკენ – ზღვასთან, კოლხიდის და ევქსინის ზემოთ მდებარე მთებიდან. ამ [მთებს] იყო, რომ ელინები კავკასიონს უწოდებდნენ და ისინი დაშორებულნი არიან ინდოეთს უფრო მეტით, ვიდრე 30000 სტადიონია... ხოლო უფრო სასახელო იყო ალექსანდრესთვის (იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი – ვ. ვ.) ინდოეთის მთებამდე დაპყრობა აზიისა, ვიდრე ევქსინისა და კავკასიონის კუთხემდე. მაგრამ დიდება მთისა, მისი სახელი და ის ამბავი, რომ იაზონის და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე, და ის, რომ პრომეთევსი გადაცემული იყო მისაჯაჭვად ქვეყნის კიდეზე, კავკასიონზე, [ამ ამბების გამო] უნდოდათ როგორმე ესიამოვნებინათ მეფისათვის და გადაიტანეს მთის სახელი ინდოეთში“.² ვფიქრობთ, ბერძნულ მწერლობაში ორი „კავკასოსის“ გაჩენა დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

სწორედ ამ მეორე, ანუ ინდოეთის „კავკასოსს“ იცნობს პოლიბიოსი (ძვ. წ. III-II სს.). თავის „ისტორიაში“ (X, 48, 1, 4) იგი წერს: „ოქსოსს (დღევ. მდ. ამუდარია – ვ. ვ.) სათავე კავკასიონში აქვს, დიდად ნყალუხვი ხდება ბაქტრიანეში“.³ ავტორი კავკასიისა და შავ ზღვებს შორის გადაჭიმულ მათა სისტემას არ ახსენებს. სამაგიეროდ ორივე „კავკასოსი“ იცის დიოდოროს სიცილიელმა (ძვ. წ. I ს.). „ბიბლიოთეკაში“ (II, 43, 2) ლაპარაკია სკვითებზე, რომლებიც

¹ იქვე, გვ. 179.

² ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 139-140. შდრ. სტრაბონი, *გეოგრაფია*, გვ. 261-262.

³ პოლიბიოსი, *ისტორია*, გვ. 198.

თავდაპირველად მცირერიცხოვანნი იყვნენ და პატარა ქვეყანაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთი, ომისმოყვარე და მხედართმთავრობის ნიჭით გამორჩეული მეფის დროს „მთიანეთში მინა-წყალი შემოიმატეს კავკასოსამდე“.¹ ამ შემთხვევაში, დიოდოროსის ეს „კავკასოსი“ კავკასიონის მთებს შეესატყვისება, ხოლო იქ (XVII, 83, 1), სადაც ავტორი გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი „მივიდა და კავკასოსის მახლობლად დაბანაკდა. ზოგიერთები ამ მთას პარაპანისონს უწოდებენ“,² სრულიად ერთმნიშვნელოვნად ინდოეთის „კავკასოსი“ იგულისხმება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კავკასიის შესახებ ანტიკური ეპოქის ავტორთა ცოდნის ეტაპობრივად გაღრმავებას ფრიად შეუწყო ხელი ძველ მსოფლიოში მომხდარმა დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა. ამ მხრივ, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო რომის აღმოსავლეთით გაფართოება და იმპერიის დაპირისპირება პონტოსა და პართიის სამეფოებთან. ამან გაზარდა ბერძნულ-რომაული სამყაროს ინტერესი კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისა და აქ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. ინტენსიური და მრავალმხრივი ურთიერთობების შედეგად დაგროვილი ინფორმაცია სათანადოდ აისახა ბერძნულ და ლათინურენოვან ტექსტებში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლისათვის უნიკალურ მასალას იძლევა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოღვაწე ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სტრაბონი, რომელიც, სპეციალისტთა შეფასებით, სანდო და კეთილსინდისიერ ავტორად არის მიჩნეული.³ „გეოგრაფიის“ XI-XVI წიგნები აზიის აღწერას ეთმობა. გეოგრაფოსი, ქვეყნების დაყოფისას ან რომელიმე კონტინენტის ნაწილების აღწერისას, უპირველეს ამოცანად საზღვრების დადგენას მიიჩნევს. სტრაბონი არ ღალატობს ანტიკურ სამყაროში არსებულ ტრადიციას და უპირატესობას ბუნებრივ საზღვრებს ანიჭებს.⁴

სტრაბონი ევროპისა და აზიის გამყოფად მდ. ტანაისს (დღევ. მდ. დონი – ვ. ვ.) თვლის. ავტორის აზრით, „ტავრი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიიმართება, ამ ხმელეთს (ე. ი. აზიას – ვ. ვ.) შუაზე გადასჭრის და ტოვებს [მის ერთ ნაწილს] ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორეს სამხრეთისაკენ. ელინები ამათგან [ერთს] უწოდებენ ტავრის შიგნითას, ხოლო [მეორეს] ტავრის გარეთას“ (XI, 1, 1).⁵ თავდაპირველად ტავროსად იწოდებოდა მცირე

¹ დიოდოროს სიცილიელი, *ბიბლიოთეკა*, გვ. 209.

² იქვე, გვ. 222.

³ სტრაბონის „გეოგრაფიისა“ და მისი წყაროების შესახებ დაწვრ. იხ.: ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 1-14.

⁴ ვაშაკიძე, *საზღვრის ცნება*, გვ. 36-49.

⁵ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 106.

აზიის მთიანი მასივის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ეგეოსის ზღვაზე გადიოდა, მაგრამ ბერძენთა გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებასთან ერთად სახელწოდება ტავროსი გავრცელდა მთათა ვეებერთელა სისტემაზე, რომელიც გადაჭიმული იყო კავკასიიდან ჰიმალაებამდე და ორად ჰყოფდა მთელ აზიას.¹

სტრაბონი აზიის ჩრდილოეთს ოთხ ნაწილად ჰყოფს. „აქედან პირველი არის ის, რომელიც ტანაისის მიდამოებში მდებარეობს. ეს მივიჩნიეთ ევროპისა და აზიის საზღვრად, ხოლო [ამ მხარეს] აქვს ნახევარკუნძულის სახე: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდ. ტანაისი და მათგან ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც მთავრდება კოლხიდასთან. ჩრდილოეთისკენ [შემოსაზღვრულია] ოკეანით ვიდრე კასპიის ზღვის შესართავამდე: აღმოსავლეთისაკენ [ისაზღვრება] სწორედ ამ ზღვით ალბანიისა და არმენიის საზღვრამდე, სადაც [ზღვას] უერთდებიან მდინარეები – მტკვარი და არაქსი, რომელთაგან ერთი მომდინარეობს არმენიაზე, ხოლო მტკვარი – იბერიასა და ალბანიაზე. სამხრეთისაკენ [შემოსაზღვრულია ხმელეთით], რომელიც არის მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე დაახლოებით 3000 სტადიონი ზღვიდან ზღვამდე, ალბანთა და იბერთა [ქვეყნებზე გადის] და ეწოდება ყელი“ (XI, 1, 5).²

„გეოგრაფიიდან“ მოტანილი ამონარიდის მიხედვით, სტრაბონი ჩრდილოეთ აზიის პირველ ნაწილს შემდეგნაირად შემოსაზღვრავს: დასავლეთით – მდ. დონი, აზოვის ზღვის აღმ. სანაპირო ბოსფორამდე და კოლხიდის კუთვნილი შავი ზღვის სანაპირო ზოლი; აღმოსავლეთით – კასპიის ზღვის დას. სანაპირო მდინარეების მტკვრისა და არაქსის შესართავამდე; ჩრდილოეთით – ოკეანე კასპიის ზღვის შესართავამდე, ანუ ისე, როგორც ეს მიღებული იყო გეოგრაფოსის წინამორბედ ანტიკურ ავტორებთან; სამხრეთით – მდ. მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე გამავალი სახმელეთო ხაზი, რომელიც ალბანთა და იბერთა ქვეყნებზე გადის.

აზიის ამ ნაწილის საზღვრების დადგენის შემდეგ, სტრაბონი იძლევა მის გეოგრაფიულ დახასიათებას, ჩამოთვლის აქ მცხოვრებ ხალხებს, გვისურათებს მათ ყოფასა და საქმიანობას და ა. შ. მივყვეთ გეოგრაფოსის მიერ მოცემულ აღწერას.

მეოტისის ტბასთან (ე. ი. აზოვის ზღვასთან, კიდევ უფრო ზუსტად მის აღმოსავლეთ სანაპიროსთან – ვ. ვ.) ცხოვრობენ მეოტები. თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ მეოტები ზოგადი სახელწოდებაა ყველა იმ ტომისა, რომლებიც მეოტისის ტბასთან სახლობენ. სტრაბონის თქმით, „მეოტებში არი-

¹ Подосинов, Скржинская, *Римские географические источники*, კომ. 370, გვ. 296.

² ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 108.

ან თვით სინდები, დანდარიები, ტორეატები, აგრები და არექები. აგრეთვე ტარპეტები, ობიდიაკენები, სიტაკენები, დოსკები და სხვა მრავალი. ამათ შორის არიან აგრეთვე ასპურგიანები, რომლებიც ცხოვრობენ ფანაგორიასა და გორგიპიას შორის“ (XI, 2, 11).¹ ამდენად, მრავალრიცხოვანი მეოტური ტომები სახლობდნენ აზოვის ზღვის აღმოსავლეთით გორგიპიამდე. ამ უკანასკნელს სპეციალისტები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე თანამედროვე ქალაქ ანაპასთან აიგივებენ.²

ამის შემდეგ „ზღვასთან (იგულისხმება შავი ზღვა – ვ. ვ.) არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავთსადგურო და მთიანი, და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს“ (XI, 2, 12).³ აქ დასახელებულ ტომთა შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს.⁴ ბუნებრივია, მათი ეთნიკური ვინაობისა და განსახლების არეალის შესახებ მსჯელობას არ შეეუდგებით, რადგან ეს სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ეს საკითხები კარგად არის შესწავლილი და დამაჯერებელი დასკვნებიცაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ აქეელების, ზიგების და ჰენიოხების ტერიტორიას სტრაბონი, „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილად მიიჩნევს და მათ საცხოვრის თანამედროვე ქალაქ ანაპისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე განათავსებს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრაბონისათვის „კავკასია/კავკასოსის“ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ქ. ანაპასთან მდებარეობს.

მოტანილ ცნობას სტრაბონი სხვაგანაც იმეორებს და მას ფრიად საყუარადლებო ინფორმაციით განავრცობს. მისი თქმით, „მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეაოფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან“ (XI, 2, 14).⁵ აქედან სრულიად არაორაზროვნად იკვეთება, რომ, გარდა აქეელებისა, ზიგებისა და ჰენიოხებისა, კერკეტების, მოსხების, კოლხების, ფთეაოფაგების და სვანების (ასევე სხვა პატარა ტომების) სა-მოსახლო ტერიტორიებიც „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილს წარმოადგენს.

¹ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 117.

² ნადარეიშვილი, *გორგიპია*, გვ. 70-72.

³ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 118.

⁴ ნადარეიშვილი, *ჯიქები/ზიგები/დიგები*, გვ. 195-196; გორდეზიანი, *აქეელები/აქეელები*, გვ. 180-181; გორდეზიანი, *ჰენიოხები*, გვ. 204; ყაუხჩიშვილი, *კავკასიის ტომების საკითხისათვის*, გვ. 57-77 და სხვ.

⁵ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 120.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღწერისას ნათქვამია, რომ ის „მიმართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან (მდებარეობდა დღევ. ქ. ნოვოროსიისკის მახლობლად – ვ. ვ.) ნელ-ნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან (დღევ. ბიჭვინთა – ვ. ვ.) და დიოსკურიასთან (დღევ. ქ. სოხუმი – ვ. ვ.): კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას“ (XI, 2, 14).¹ სტრაბონი იქვე განმარტავს, რომ „მთელი სანაპირო, აქეელთა და სხვა [ხალხებისა] ვიდრე დიოსკურიამდე და იმ ადგილებამდე, რომლებიც მდებარეობენ პირდაპირ სამხრეთისაკენ შუა ქვეყანაში, კავკასიონის ქვემოთ მდებარეობს“.

„გეოგრაფიის“ მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ, სტრაბონის აზრით, პიტიუნტი და დიოსკურია კოლხიდის სანაპირო ზოლშია მოქცეული, რომელიც ტრაპეძუსთან მთავრდება და ეს ადგილები „კავკასიონის ქვემოთ (ე. ი. სამხრეთით – ვ. ვ.) მდებარეობს“. ხოლო კოლხებს, და ამდენად მათ სამოსახლო ქვეყანას, ბერძენი ავტორი რომ „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილად თვლის, ამაზე ზემოთ იყო საუბარი. საერთოდ, სტრაბონისათვის კოლხიდის შავიზღვისპირა სანაპიროს იმდენად ვრცელი მონაკვეთი ეკავა, რომ ბერძენი ავტორი ერთგან ევქსინის ზღვას კოლხიდის ზღვას უწოდებს (XI, 1, 6).

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, გამოდის, რომ „კავკასია/კავკასოსის“ ჩრდილო-დასავლეთი და დასავლეთი საზღვარი მიუყვებოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლს დღევ. ქ. ანაპიდან ტრაპეძუსამდე, ანუ დღევანდელ ტრაბზონამდე.

„გეოგრაფიაში“ ვრცელი ადგილი ეთმობა თავად კავკასიის მთის აღწერას. სტრაბონი წერს, რომ „ეს მთა მდებარეობს ორივე ზღვის ზემოთ, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს [ზღვებს]. [ეს მთა] საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს... ზოგი ტოტი ამ [მთისა] მიემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს: ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც ქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს (XI, 2, 15).²

ყურადსაღებია, რომ კავკასიის მთებს ჩრდილოეთიდან სარმატთა დაბლობები ესაზღვრება. ე. ი. სტრაბონისათვის „კავკასოსი“ თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებებით, რომლებიც მიმართულია როგორც სამხრეთისაკენ ისე ჩრდილოეთისაკენ, მათაა ერთ მთლიან მასივს წარმოადგენს. ამ

¹ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 120-121.

² ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 121-122.

აზრის სისწორეს „გეოგრაფიის“ სხვა ადგილიც ამტკიცებს. ბერძენი ავტორის თქმით, ფთეროფაგების მახლობლად არიან სვანები; „ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის... სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან, ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკავიათ უპირატესად მოხსენიებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად“ (XI, 2, 19).¹ გამოდის, რომ კავკასიის მაღალმთიანეთში (ფთეროფაგები, სვანები და სხვა ტომები) ასევე დაბლობში მცხოვრებნი (ალბანები და იბერები) „კავკასიურად“ იწოდებიან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „კავკასიურად“ უნდა ჩავთვალოთ ის ტომებიც, რომლებიც „კავკასოსის“ მთის ჩრდილოეთ ფერდობებზე ბინადრობენ. სტრაბონის ცნობით, „ალბანიის ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამადონები... ამადონებსა და ალბანებს შორის სკვითები – გელები და ლეგები – ცხოვრობენ... ამბობენ, რომ [ამადონები] გარგარეველების მეზობლად ცხოვრობენ კავკასიონის მთის ფერდობებზე ჩრდილოეთისაკენ, რომელიც იწოდება კერავნიად“ (XI, 5, 1).² როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აქ დასახელებულ ტომებზე მსჯელობა. საკვლევი პრობლემისათვის, ვფიქრობთ, ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ წყაროში მოხსენიებული ამადონები, გელები, ლეგები და გარგარეველები კავკასიის მთების ჩრდილოეთ კალთებზე სახლობენ, რომელსაც სტრაბონი კერავნიად მოიხსენიებს. ამ სახელით ანტიკურ მწერლობაში არაერთი მთაა ცნობილი, თუმცა უდავოა, რომ ასე ბერძენი გეოგრაფოსი კავკასიონის მთების უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთს, კასპიის ზღვასთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაწილს უწოდებს.³

ანალოგიურად, „კავკასიურ“ ტომებად უნდა მივიჩნიოთ ტროგლოდიტები, რომელთა „შემდეგ არიან ეგრეთ წოდებული ქამაჰოტები და პოლიფაგები და ესადიკების სოფლები, რომელთაც შეუძლიათ მიწათმოქმედება, რადგან მთლად არ ეკვრიან ჩრდილოეთს“ (XI, 5, 7).⁴ მოცემული ცნობის კონტექსტი ისეთია, რომ დასახელებული ტომები განსახლებულნი არიან არამარტო კავკასიის მთების ჩრდილოეთ ფერდობებზე, არამედ მთისწინეთშიც, რადგან მათ „შეუძლიათ მიწათმოქმედება“. ამაზე წინ სტრაბონი აღნიშნავს, რომ კავკასიის მოსახლე ხალხებიდან „[ნაწილს] უპყრია მაღლობები, ხოლო

¹ იქვე, გვ. 126-127.

² იქვე, გვ. 136.

³ ნადარეიშვილი, *კერავნიის მთები*, გვ. 257.

⁴ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 141.

[მეორე ნაწილი] ბინადრობს ხეობებში და ცხოვრობენ უპირატესად მხეცე-ბის ხორციით, ველური ნაყოფითა და რძით“ (XI, 5, 6).¹ აქ მთიელთა ყოფის ტიპური სურათია მოცემული, ხოლო ეხსადიკების მიწათმოქმედებაზე მინიშნება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს უკანასკნელნი კავკასიის მთების ჩრდილო ნაწილის მთისწინეთში ცხოვრობდნენ.

ფრიად საინტერესოა სტრაბონის მონათხრობი, რომ ჩრდილოეთი-საკენ ზემოდასახელებულ ტომებს „მოსდევენ მომთაბარეები, რომლებიც მეოტისსა და კასპიას შორის არიან – ნაბიანები, პანქსანები და სირაკთა და აორსთა მოდგმები“ (XI, 5, 8).² ნაბიანები და პანქსანები ნაკლებადცნობილი ტომები არიან; რაც შეეხებათ სარმატული წარმომავლობის სირაკებსა და აორსებს, ისინი კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის არსებულ სტეპის ზოლს იკავებდნენ და მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდნენ.³ გამოდის, რომ „კავკასიური“ ტომების განსახლების არეალის ჩრდილოეთი საზღვარი ზემოხსენებულ სტეპის ხაზს გასდევდა.

„გეოგრაფიის“ მიხედვით, აზიის ალბანიის მცხოვრებნი უსათუოდ „კავკასიურ“ ხალხთა რიგს განეკუთვნებიან. ალბანებს, ისევე როგორც იბერებს, „გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე. წ. ტიბარანებამდე“ (XI, 14, 1).⁴ ალბანები „ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს, ჩრდილოეთისა გამაგრებულია კავკასიონის მთებით (ეს მთები მდებარეობენ დაბლობებს ზემოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ზღვისკენ არის, იწოდება კერავნიად), სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია“ (XI, 4, 1).⁵ ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროა დავადგინოთ ალბანთა საცხოვრისის აღმოსავლეთი საზღვარი, უფრო სწორად, განვსაზღვროთ, კავკასიონის მთებიდან მოყოლებული სად მთავრდებოდა ალბანიის კუთვნილი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო.

არმენიის აღწერისას სტრაბონი ამბობს: „მდინარე არაქსი მომდინარეობს ალბანიის განაპირა [მხარეებისაკენ] და ერთვის კასპიის ზღვას; ამის შემდეგ საკასენე, ეს ემეზობლება ალბანიას და მდინარე მტკვარს“ (XI, 14, 4).⁶ თუ გავიხსენებთ, რომ მტკვარი მიედინება იბერიასა და ალბანიაზე (XI,

¹ იქვე, გვ. 140-141.

² იქვე, გვ. 142.

³ დარჩია, *სირაკები*, გვ. 52-53; ასათიანი, *აორსები*, გვ. 112.

⁴ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 185-186.

⁵ იქვე, გვ. 130.

⁶ იქვე, გვ. 187-188.

1, 5),¹ გამოდის, გეოგრაფოსის აზრით, არმენიის კუთვნილ საკასენეს მხარესა (რომელიც მდინარეებს მტკვარსა და არაქსს შორის მდებარეობდა²) და ალბანიას შორის საზღვარი მდ. მტკვარზე გადიოდა. ე. ი. უნდა დავასკვნათ, რომ აზიის ალბანიის აღმოსავლეთი საზღვარი იყო კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო ზოლი კავკასიონის მთებიდან დაწყებული მდ. მტკვრის შესართავამდე. ბუნებრივია, რომ იგივე იყო სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ უკიდურესი აღმოსავლეთი მიჯნაც.

რაც შეეხება კავკასიის სამხრეთ საზღვარს, ბერძენი გეოგრაფოსის ცნობების შეჯერების შედეგად, ის შემდეგნაირად გამოიყურება. ზემოთ განხილული მონაცემების თანახმად, კავკასიონის მთები გარს აკრავს ალბანიასა და იბერიას, აღწევს არმენიელებამდე და უერთდება მოსხებისა და კოლხების მთებს ტიბარენებამდე (XI, 14, 1). აქ კონტექსტი ისეთია, რომ თითქოს ავტორისათვის მოსხებისა და კოლხების მთები ტიბარენებამდე კავკასიის მთების განშტოებას წარმოადგენენ. ხოლო ის ხალხები, ვინც კავკასიის მთებში ბინადრობდნენ, ეჭვმიუტანლად ვიცით, რომ სტრაბონისათვის „კავკასიურად“ იწოდებიან. რაც შეეხებათ ტიბარენებს, ცნობილია, რომ ისინი სახლობდნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. მათ მოიხსენიებენ ჰეკატეოს მილეტოსელი, ჰეროდოტოსი, ქსენოფონი და სხვა ბერძენი ავტორები. ტიბარენების მიწაზე იყო ელინური ქალაქი კოტიორა, რომელსაც დღევ. თურქეთში მდებარე ქ. ორდუსთან აიგივებენ.³ გამოდის, რომ სტრაბონის „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთი საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იმ წარმოსახვით ხაზს მიუყვებოდა, რომელიც მდ. მტკვრის შესართავიდან იწყებოდა და ევქსინის პონტოსთან მთავრდებოდა. ის მიდიოდა ტიბარენების საცხოვრისამდე, გასდევდა მოსხებისა და კოლხების მთებს და კოლხიდის სანაპირო ზოლზე (სავარაუდოდ ტრაბზონთან) შავ ზღვას ებჯინებოდა. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ „გეოგრაფიაში“ (XI, 1, 5) მოცემული აზიის აღწერა, რომლის მიხედვითაც აზიის ჩრდილოეთი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი. ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. გეოგრაფოსის თქმით, ამ ოთხიდან პირველი „სამხრეთისაკენ [შემოსაზღვრულია ხმელეთით], რომელიც არის მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე დაახლოებით 3000 სტადიონი ზღვიდან ზღვამდე, ალბანთა და იბერთა [ქვეყნებზე გადის] და ეწოდებოდა ყელი“. ჩვენი აზრით, სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთი საზღვარი, ემთხვევა აზიის ჩრდილოეთის პირველი ნაწილის სამხრეთ მიჯნას.

¹ იქვე, გვ. 108.

² დარჩია, *საკასენე*, გვ. 28.

³ ერქომაიშვილი, *ტიბარენები*, გვ. 94-95.

ვფიქრობთ, ის, რომ „კავკასია/კავკასოსი“ სტრაბონისათვის ერთ მთლიან გეოკულტურულ სივრცეს წარმოადგენს, ეჭვს არ იწვევს. ამას თვალნათლივ ადასტურებს „გეოგრაფიაში“ დაცული კიდევ ერთი ცნობა. დიოსკურიის აღწერისას ავტორი წერს: „[ერთთა აზრით, ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-ით (ესენი არაფრად ზრუნავენ სიმართლისათვის), ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან (XI, 2, 16).¹ გეოგრაფოსის ეს სიტყვები სრულიად ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ, სტრაბონის აზრით, დიოსკურიაში სავაჭროდ თავმოყრილ სამოცდაათი ტომის წარმომადგენლებიდან თითოეულს საკუთარი ენა და საკუთარი საცხოვრისი ტერიტორია აქვს; ისინი კავკასიელები არიან, ე. ი. იმ გეოგრაფიული არეალის მკვიდრები, რომელსაც ცნება „კავკასია/კავკასოსი“ ფარავს. რაც შეეხება იმას, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა სტრაბონისეული კავკასია, ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

მოტანილ ცნობაში არ უნდა გაგვაკვიროვოს სარმატების ხსენებამ. აქ ზუსტად ისეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც მაგ., კავკასიის იბერიის აღწერისას. სტრაბონმა შესანიშნავად იცის იბერია და იბერები, თუმცა განასხვავებს ბარში და მთაში მცხოვრებ იბერებს. გეოგრაფოსის თქმით, „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად იმოსებიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მეზობლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან“ (XI, 3, 3).² სრულიად აშკარაა, რომ ბარში და მთაში მცხოვრები ერთი და იგივე ხალხი, ამ მოცემულობით იბერები, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ხასიათით, ჩაცმულობით, ცხოვრების წესით, მეურნეობით და ა. შ. სწორედ ამ მახასიათებლებით ერთნი ემსგავსებიან არმენიელებსა და მიდიელებს, ხოლო მეორენი – სკვითებსა და სარმატებს. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი კავკასიელთა უმეტესობის სარმატებად მოხსენიებისას. სხვაგვარად რომ იყოს და აქ ეთნიკური ნათესაობა იგულისხმებოდეს, მაშინ სტრაბონი სარმატებსაც კავკასიელ ხალხებს მიათვლიდა. ეს კი „გეოგრაფიის“ მონაცემებით სრულიად გამორიცხულია.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ კავკასიის შესახებ არსებული მასალის შესწავლამ, ვფიქრობთ, სრულიად უეჭველად აჩვენა, რომ ბერძენი ავტორი-

¹ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 122-123.

² იქვე, გვ. 128.

სათვის „კავკასია/კავკასოსი“ ერთიანი გეოკულტურული სივრცეა, რომელსაც კარგად გამოკვეთილი საზღვრები აქვს; აქ ბინადრობს არაერთი ხალხი, რომლებიც კავკასიელები არიან.

საინტერესოა, ფარავდა თუ არა ცნება „კავკასია/კავკასოსი“ სტრაბონისეულ არმენიას. „გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ „არმენია სამხრეთით ეკვრის ტავრს, რომელიც გამოჰყოფს მას მთელი იმ ტერიტორიისაგან, რომელიც ევფრატსა და ტიგროსს შორის მდებარეობს და რომელსაც მესოპოტამიას უწოდებენ... ჩრდილოეთით არის კასპიის ზღვის ზემოთ მდებარე მთები, პარახოათრა, ალბანები და იბერები: ამ ტომებს გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე. წ. ტიბარენებამდე“ (XI, 14, 1). მოტანილი ცნობა უკვე იყო განხილული. აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ალბანები და იბერები, რომლებსაც გარს აკრავს კავკასიის მთები, გეოგრაფოსის შეხედულებით, „კავკასიური“ ხალხები არიან. სწორედ ისინი ესაზღვრებიან ჩრდილოეთიდან არმენიას. ალბანიასა და არმენიას შორის საზღვარი მდ. მტკვარზე (ბუნებრივია, იგულისხმება მდ. მტკვრის ქვემო დინება) გადიოდა. რაც შეეხება იბერიას, მისი ტერიტორიების ნაწილი არმენიას ჰქონდა მიტაცებული. სტრაბონის თქმით, არმენიამ არტაქსიას, ანუ არტაშეს I-ის (ძვ. წ. 189-161 წწ.) დროს იბერიას ჩამოაჭრა „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა (იგულისხმება ჩრდილოეთით – ვ. ვ.) არის“ (XI, 14, 5).¹ იბერიის, იგივე ქართლის სამეფოს ზემოდასახელებული ტერიტორიები კარგად არის იდენტიფიცირებული.² თუ სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთ საზღვარს გავითვალისწინებთ, რომელიც მდ. მტკვრის შესართავიდან ტრაპეძუსამდე გავლებულ წარმოსახვით ხაზს მიუყვებოდა, გოგარენე, პარიადრეს კალთები და ხორზენეც კავკასიაში უნდა მოვიაზროთ.

ანალოგიურად კავკასიაში შედიოდა კამბისენეც, რომელიც, გეოგრაფოსის მიხედვით, არმენიის „უკიდურესი ჩრდილოეთის“ მხარეს წარმოადგენდა (XI, 14, 4).³ კამბისენე/კამბეჩოვანიც მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა.

ამდენად, გამოდის, რომ სტრაბონისეული არმენიის ზემოხსენებული ნაწილები, გეოგრაფოსის თვალსაზრისით, კავკასიის შემადგენლობაში განიხილება, დანარჩენი ქვეყანა კი – „კავკასია/კავკასოსის“ გარეთ.

კავკასია გარკვეული გეოგრაფიული სივრცეა პლუტარქოსისთვისაც (ახ. წ. I-II სს.). ერთგან ავტორი ლუკულუსს ათქმევინებს: „იქვეა კავკასოსი

¹ იქვე, გვ. 189.

² დანვრ. იხ.: ვაშაკიძე, *კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე*, გვ. 172-173 (ლიტ. იხ. იქვე).

³ ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 188.

მრავალი მითითა და ხეობით, რომელთაც [შეუძლიათ] უამრავი მეფე, ბრძოლას თავს რომ არიდებს, დაიცვას და შეიფაროს“ (ლუკულუსი, XIV).¹ პლუტარქოსმა იცის, რომ აქ არაერთი ხალხი ბინადრობს. მაგ., პომპეუსი „იძულებული იყო მითრიდატესისკენ დაძრულიყო იმ ხალხების გავლით, კავკასოსზე რომ ცხოვრობდნენ. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ალბანები და იბერები არიან. იბერები მოსხოსის მთებამდე და პონტოსამდე არიან დასახლებულნი, ხოლო ალბანები აღმოსავლეთით – კასპიის ზღვამდე“ (პომპეუსი, XXXIV).² კავკასოსის მცხოვრებთაგან ბერძენი ავტორი აგრეთვე ასახელებს ამადონებს და მათსა და ალბანებს შორის მყოფ გელებსა და ლეგებს.³

უაღრესად საყურადღებოა, რომ პლუტარქოსი თავის თხზულებაში „ალექსანდრიული ანდაზების შესახებ“ (I, 1, 10) კავკასიის მკვიდრთ ერთი საერთო სახელითაც მოიხსენიებს. მისი თქმით, „კავკასიანები შვილების გაჩენისას ტირიან, ხოლო გარდაცვალებისას მხიარულობენ“.⁴ ე. ი. ცნობის ავტორისათვის კავკასიაში „კავკასიანები“, ანუ კავკასიელები ცხოვრობენ. გავიხსენოთ სტრაბონის გამოთქმა, რომ დიოსკურიაში სავაჭროდ თავს იყრიან 70 ტომის წარმომადგენლები, რომლებიც „ყველანი კავკასიელები არიან“.

„კავკასია/კავკასოსი“ უამრავ ბერძენ და ლათინურენოვან ავტორთან იხსენიება. ის არის „სამყაროს ერთ-ერთი ძალიან ცნობილი მხარე“,⁵ რომლის ერთიან სივრცედ გააზრება, როგორც კვლევამ აჩვენა, პირველად სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დასტურდება. ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ სტრაბონია ის ავტორი, რომელმაც თავისი დროისთვის ცნება „კავკასია/კავკასოსი“ ერთ გეოკულტურულ არეალს დაუკავშირა და მისი საზღვრებიც მოხაზა.

¹ პლუტარქოსი, *პარალელური ბიოგრაფიები*, გვ. 314.

² იქვე, გვ. 318.

³ იქვე, გვ. 319.

⁴ პლუტარქოსი, *ალექსანდრიული ანდაზების შესახებ*, გვ. 325.

⁵ გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), *ბუნების ისტორია*, გვ. 587.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა – აპოლონიოს როდოსელი, *არგონავტიკა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 175-194.

არისტოტელე, არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია – არისტოტელე, *არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 151-160.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), ბუნების ისტორია – გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), *ბუნების ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 581-594.

დიოდოროს სიცილიელი, ბიბლიოთეკა – დიოდოროს სიცილიელი, *ბიბლიოთეკა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 208-223.

ესქილე, მიჯაჭვული პრომეთეისი – ესქილე, *მიჯაჭვული პრომეთეისი*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 77-83.

თეოკრიტოსი, იდილიები – თეოკრიტოსი, *იდილიები*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 165-167.

პლუტარქოსი, ალექსანდრიული ანდაზების შესახებ – პლუტარქოსი, *ალექსანდრიული ანდაზების შესახებ*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 325-326.

პლუტარქოსი, პარალელური ბიოგრაფიები – პლუტარქოსი, *პარალელური ბიოგრაფიები*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 312-323.

პოლიბიოსი, ისტორია – პოლიბიოსი, *ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 195-199.

სტრაბონი, გეოგრაფია – სტრაბონი, *გეოგრაფია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 224-305.

ჰეკატეოს მილეტოსელი, დედამიწის აღწერა – ჰეკატეოს მილეტოსელი, *დედამიწის აღწერა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 61-64.

ჰეროდოტოსი, ისტორია – ჰეროდოტოსი, *ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 89-111.

ასათიანი, აორსები – ასათიანი ვ., *აორსები*, „ანტიკური კავკასია“, II, 1, თბილისი, 2014, გვ. 112.

გორდეზიანი, ჰენიოხები – გორდეზიანი რ., *ჰენიოხები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 204.

გორდეზიანი, აქეელები/აქეველები – გორდეზიანი რ., *აქეელები/აქეველები*, „ანტიკური კავკასია“, II, 1, თბილისი, 2014, გვ. 180-181.

გორდეზიანი, უგულავა, კავკასია/კავკასოსი – გორდეზიანი რ., *უგულავა გ., კავკასია/კავკასოსი*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, III, თბილისი, 2018, გვ. 26-32.

დარჩია, საკასენე – დარჩია ი., *საკასენე*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 28.

დარჩია, სირაკები – დარჩია ი., *სირაკები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 52-53.

ერქომაიშვილი, ტიბარენები – ერქომაიშვილი მ., *ტიბარენები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 94-95.

ვაშაკიძე, კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე – ვაშაკიძე ვ., *კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე*, ნიგნში: „კავკასიის ისტორია“, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, ტ. I, თბილისი, 2023, გვ. 41-196.

ვაშაკიძე, საზღვრის ცნება – ვაშაკიძე ვ., *საზღვრის ცნება კლასიკური და მომდევნო ხანის ბერძნულენოვან ტექსტებში*, „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“, 3, 2022, გვ. 36-49.

ვაშაკიძე, ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა – ვაშაკიძე ვ., *ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა და ეტიმოლოგია*, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, XX, 2020, გვ. 77-90.

ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები – ლომოური ნ., *ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ*, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 35, თბილისი, 1963, გვ. 3-35.

ნადარეიშვილი, ჯიქები/ზიგები/ძიგები – ნადარეიშვილი ქ., *ჯიქები/ზიგები/ძიგები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 195-196.

ნადარეიშვილი, გორგიპია – ნადარეიშვილი ქ., *გორგიპია*, „ანტიკური კავკასია“, II, 2, თბილისი, 2016, გვ. 70-72.

ნადარეიშვილი, კერავნიის მთები – ნადარეიშვილი ქ., *კერავნიის მთები*, „ანტიკური კავკასია“, III, თბილისი, 2018, გვ. 257.

ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის – ყაუხჩიშვილი თ., *კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, ჰენიოხები*, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1980, №4, გვ. 57-77.

ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები – ყაუხჩიშვილი თ., *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*, თბილისი, 1976.

ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია – ყაუხჩიშვილი თ., *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი, 1957.

Подосинов, Скржинская, Римские географические источники – Подосинов А. В., Скржинская М. В., *Римские географические источники: Помпоний Мела и Плиний старший*, Тексты, перевод, комментарии, Москва, 2011.

Understanding the Caucasus as a Unified Geographical Space in Ancient Writings

Summary

The term “Caucasus” (or “Caucasos”) as a geopolitical concept in its modern sense began to take shape in the 19th century, although the name itself appears in ancient sources. Since the relations between the Greco-Roman world and the Caucasus occurred in several stages and the knowledge of ancient authors about the region gradually deepened over time, the content of the term itself also changed. For example, if in the works of Hecataeus of Miletus and Aeschylus, “Caucasus” referred to a specific mountain or ridge, by the time of Herodotus, however, the term described a mountain system, “the most extensive and the highest”, with branches covering a broad area inhabited by several tribes. Later, the campaign of Alexander the Great in Asia, the expansion of the Roman Empire to the east, the wars of Mithridates VI Eupator, or the Roman-Parthian conflict, further contributed to the collection of diverse information about the Caucasus and the peoples inhabiting it in Greek and Latin writings.

This work aims to determine when the term “Caucasus” came to represent a specific geocultural space and, to the extent possible, to define its geographical boundaries. A study of Greek and Latin texts reveals that Strabo was the first among ancient authors to recognize “Caucasus” (or “Caucasos”) as a unified geocultural region. According to his “Geography”, Strabo defined the north-western and western border of the Caucasus as stretching along the Black Sea coast from Gorgippia (modern-day Anapa) to Trapezus (modern-day Trabzon). The eastern border extended along the Caspian Sea coast from the easternmost part of the Caucasus Range to the confluence of the Mtkvari River. To the north, the Caucasus was bounded by a strip of steppe stretching between the Caspian and Black Seas. The southern border followed an imaginary line from the mouth of the Mtkvari River to the Black Sea, proceeded along the mountains of Moskhs and Colchs to the residence of the Tibarenians, and abutted the Black Sea along the coast of Colchis, likely near Trabzon. The same author clearly notes that many ethnic groups (specifically seventy according to his “Geography”) inhabited the Caucasus, encompassing “all Caucasians”. For Strabo, the “Caucasus” (or “Caucasos”) was a unified geocultural space with clearly defined boundaries, inhabited by a diverse array of Caucasian peoples.